

მამუკა წუხწუმია
Mamuka Tsurtsumia

იოჰან ვან კოტვეიკის ცნობები ქართველების შესახებ¹
Johan van Cootwijck's Account of the Georgians

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: წმინდა მიწა, კოტოვიკუსი, წმ. გიორგის დროშები, აღდგომის
ეკლესია, ჭვხის მონასტერი.

Key words: Holy Land, Cotovicus, St George's standards, Church of the Holy Sepulchre,
Monastery of the Cross.

¹ სტატია იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარ-
დაჭერით FR-21-2041.

იოჰან ვან კოტვეიკი, იგივე იოჰანეს კოტოვიკუსი, რომელმაც წმინდა მიწაზე მოგზაურობის შემდეგ საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა ქართველებზე, ჩვენს ისტორიოგრაფიაში პოლონელ მოგზაურადაა მიჩნეული. ამ გაუგებრობას თითქმის საუკუნის ისტორია აქვს და ივ. ჯავახიშვილიდან მოდის, რომელმაც ყურადღება მიაქცია უცხოელი მოგზაურის მიერ გამოქვეყნებულ ცნობას ქართული დროშების შესახებ და გამოიყენა ის თავის თხზულებაში: „საშუალო საუკუნეების პოლონელ მოგზაურის კოტოვიჩის *Itinerarium Hierosolymitanum*“-ი ამტკიცებს, რომ ქართული ეროვნული დროშის ალაში სახითაც ყოფილა შემკული. მას ნათქვამი აქვს, რომ ... ქართველები (გეორგიანები) გიორგი მთავარმონამეს (რომლის სახელიც თავიანთთვის ეროვნულ სახელადაც კი აქვთ შეთვისებული) უაღრეს თავყანსა სცემენ და სხვა წმინდანებზე მეტად განსაკუთრებით სცემენ პატივს, თავის მფარველადაც (პატრონადაც) მიაჩნიათ (ადიდებენ) და სამხედრო დროშებზე დახატული მისი სახე ყოველთვის დააქვთ ხოლმეო“ [ჯავახიშვილი, 1984:160]. ეს ცნობა, როგორც თვითმხილველის მოწმობა, ივ. ჯავახიშვილს სანდოდ მიაჩნდა და მასზე დაყრდნობით თვლიდა, რომ „საქართველოს ეროვნული დროშის ალაზე გამოსახტული ყოფილა ქართველი ერის უზენაეს მფარველად მიჩნეული წმ. გიორგი“ [ჯავახიშვილი, 1984:161]. ივ. ჯავახიშვილის კვალდაკვალ, კოტოვიკუსს პოლონელ მოგზაურად მიიჩნევენ სხვა ქართველი ისტორიკოსებიც [ბარნაველი, 1953:16; გამსახურდია და სხვ., 1990:7; მუსხელიშვილი, 1997:62; კლდიაშვილი, 2003:48; თვარაძე, 2004, გვ. 91; ჯაველიძე, 2012:42].

ეს შეცდომა გამოსწორებულია ქართული ენციკლოპედიის მოკლე სტატიაში „კოტოვიჩი იოჰან ფონ“, სადაც მისი ჰოლანდიური წარმოშობაა დადასტურებული, თუმცა გვარის არასწორი ფორმა მაინც არის დარჩენილი: „**კოტოვიჩი** (კოოტვიჩი, კოტოვიკუსი), იოჰან ფონ (გ. 1629), ჰოლანდიელი იურისტი, იმოგზაურა იერუსალიმსა და სირიაში, რ-ის შესახებაც მოგვითხრობს თავის ნაწარმოებში „იერუსალიმსა და სირიაში მოგზაურობის აღწერა“. იერუსალიმში კ-ს უნახავს სალოცავად მისული ქართველი მხედრობა გაშლილი დროშებით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ეს საქართველოს სახელმწ. დროშა უნდა ყოფილიყო. კ. წერს: „ქართველები სხვა წმინდანებზე მეტად წმ. გიორგის სცემდნენ პატივს და სამხედრო დროშებზე გამოსახული მისი სახე ყოველთვის თან დაჰქონდათ“ [კოტოვიჩი, 2023:191].

როგორც ირკვევა, ის პოლონელი კი არა, ნიდერლანდელი იყო და მისი ნამდვილი სახელია იოჰან ვან კოტვეიკი (Johan(nes) van Cootwijk, ლათინურად – Ioannes Cotovicus). დაიბადა უტრეხტში XVI საუკუნის შუახანებში, ამ ქალაქის მკვიდრი იყო და აქვე გარდაიცვალა 1629 წელს [Feller, Christyn, 1786:116; Van der Aa, 1858:704-705]. არც მისი იურისტად შერაცხვაა ბოლომდე გამართლებული; მართალია ის დოქტორის ხარისხს ფლობდა ორ სფეროში – საეკლესიო კანონიკასა და სამოქალაქო სამართალში, მაგრამ კათოლიკე მღვდელი გახლდათ, რომელმაც 1580 წელს უტრეხტში კალვინიზმის გამარჯვებისა და კათოლიკური რწმენის აკრძალვის შემდეგ, 1609 წელს გამოაქვეყნა თხზულება *სულიერი ფარი*, სადაც რომაულ კათოლიციზმს იცავდა [Boogert, Steenbrink, 2017:695].

1598-99 წლებში კოტოვიკუსმა იმოგზაურა აღმოსავლეთში და დატოვა იმ ადგილების დაწვრილებითი აღწერა, რომლებიც ინახულა. მგზავრობისას გადაკვეთა ევროპა, ჩავიდა იტალიაში, სადაც ვენეციიდან ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვის გავლით მიაღწია კრეტასა და კვიპროსს და იაფაში ჩამოხდა. მან მოიარა პალესტინა და სირია, საიდანაც ალექსოში 3 თვე დაჰყო და ანტიოქიაც ინახულა.¹ ევროპაში დაბრუნებულმა 1619 წელს ანტვერპენში ლათინურ ენაზე გამოსცა თავისი მოგზაურობის წიგნი (*Itinerarium Hierosolymitanum et Syriacum*), რომელიც მომდევნო, 1620 წელს ჰოლანდიურად ითარგმნა და იქვე დაიბეჭდა.

იოჰან ვან კოტვეიკი განათლებული და დაკვირვებული ავტორი იყო. მისი თხზულება მოწმობს, რომ ის კარგად იცნობდა ბერძნულ და ლათინურ ლიტერატურასა და ისტორიას [Feller, Christyn, 1786:116]. აქ გვხვდება ინფორმაცია როგორც შუა საუკუნეების ავტორებიდან, ისე ისტორიული ცნობები ბერძნული და ლათინური წყაროებიდან, როგორებიცაა ჰომეროსი, ჰორაციუსი, პლინიუსი, დიონისე ჰალიკარნასელი, პოლიბიოსი, პტოლემეოსი, პითაგორა, სტრაბონი და სხვ. ტიტუს ტოპლერის შეფასებით, კოტვეიკის ნაწერი მკაფიო, სანდო და უტყუარია და ის ბევრ ახალ და სასარგებლო ცნობას გვანდის [Tobler, 1867:87-88]. მისი წიგნი დაკვირვებული, სწავლული და კეთილსინდისიერი ადამიანის შრომის შედეგია [Cobham, 1908:187]. მან დიდი სიზუსტით აღწერა ის ქვეყნები, სადაც იმოგზაურა. კოტვეიკს ფიზიკური თვალის დასაჯანსაღებლად და მას ხშირად აქებენ მისი დაკვირვებების სისწორისა და აღწერილობის სისრულისთვის [Van der Aa, 1858:704]. მანვე პირველმა გადაიღო იერუსალიმის კედლისა და საფლავის ქვების წარწერები, რომელთაგან ბევრმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მის წიგნში 50-ზე მეტი გრავიურაა, მათ შორის რუკები, ნახაზები და ილუსტრაციები, რომლებიც ასახავენ აღმოსავლეთის ქალაქებსა და წმინდა ადგილებს.

თავისი თხზულების მეორე წიგნის მეექვსე თავში კოტოვიკუსი საკმაოდ ვრცლად აღწერს აღმოსავლეთის ქრისტიანულ თემებს, როგორებიცაა მარონიტები, ბერძნები, სირიელები, იაკობიტები, ნესტორიელები, სომხები, კოპტები, ეთიოპელები (აბისინიელები) და, მათ შორის, ქართველებსაც. ქართველებს ის სხვა დროსაც ახსენებს, როდესაც მოგვითხრობს აღდგომის ეკლესიასა და ჯვრის მონასტერზე. აქამდე ჩვენ ამ თხზულების არასრულად ნათარგმნი ნაწყვეტები გავაჩნდა მიხეილ თამარაშვილის წიგნიდან, სადაც ბევრი ისეთი ცნობა მოიპოვება, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა. 1910 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ თავის წიგნში *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე* მ. თამარაშვილმა პირველმა მოიყვანა მოზრდილი ნაწყვეტები კოტოვიკუსის თხზულებიდან [Tamarati, 1910:312]. ეს

¹ მრავალი ავტორი, ტ. ტოპლერისა და რ. რორიხტიდან მოყოლებული შეცდომით მიუთითებს, რომ კოტოვიკუსმა 1596 წელს იმოგზაურა წმინდა მიწაზე [Tobler, 1867: 87; Röhricht, 1890: 220; Schur, 1980: 146; Noonan, 2007:198]. ამ დროს, მისი მოგზაურობის ჩანაწერებიდან, რომელიც ვენეციაში იწყება და აქვე მთავრდება, ირკვევა, რომ მან ეს ქალაქი დატოვა 1598 წლის 4 აგვისტოს, ხოლო დაბრუნდა 1599 წლის 9 მაისს [Boogert, Steenbrink, 2017: 695].

ლათინური მონაკვეთები ქართულად ითარგმნა 1995 წელს მისი წიგნის ხელმეორედ გამოცემისას [თამარაშვილი, 1995: 360-361].¹

სამწუხაროდ, მ. თამარაშვილის წიგნში მოყვანილი ნაწყვეტები და, შესაბამისად, ქართული თარგმანიც ნაკლებია და მასში არეულია რიგი მონაკვეთების თანმიმდევრობა; გამოტოვებულია ისეთი მნიშვნელოვანი მონაკვეთები, როგორიცაა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და მისი მდებარეობის აღწერა, რომელიც გვიჩვენებს ჰოლანდიელი ავტორის ინფორმირებულობას; ქართველი ერის უაღრესად კეთილმოსურნე დახასიათება; წმინდა გიორგის კულტისა და სამხედრო დროშების აღწერა; მატრიმონიალური კავშირები სპარსეთისა და საქართველოს მმართველებს შორის; ქართველების თავსაბურავი და ვარცხნილობა; მათ მიერ გამოყენებული ენები; ავტორის სტუმრობა ჯვრის მონასტერში. ყოველივე ამის გამო და ჰოლანდიელი მოგზაურთან დაკავშირებული გაუგებრობის საბოლოოდ გასაფანტავად გადაწყვიტეთ ქართველი მკითხველისათვის სრულად შეგვეთავაზებინა ლათინური დედნიდან ნათარგმნი მისი ცნობები:

[მაცხოვრის] დილეგი ქართველების მზრუნველობის ქვეშაა, რომლებიც ერთი ლამპით ანათებენ იქაურობას; ის მორთულობის გარეშეა [Cotovico, 1619: 160].²

ლათინ მღვდლებს არავითარ შემთხვევაში არ აძლევენ წმინდა საიდუმლოთა აღსრულების ნებას ჯვრის საკურთხეველში, რადგან ამას კრძალავენ მისი მფლობელი ბერძნული რიტუალის მიმდევარი ქართველი ბერები. მათ სჯერათ, რომ ბერძნული საკურთხეველები ნაიბილნება, თუკი ლათინები იქ აღასრულებენ საიდუმლოებებს.³ თუმცა ნებისმიერს, როცა მოესურვება, შეუძლია მივიდეს ამ ადგილას, ილოცოს იქ, ეთაყვანოს ღიობს,⁴ იმღეროს ჰიმნები და საგალობლები და შეასრულოს სხვა კეთილმსახურება [Cotovico, 1619: 168].

მიუხედავად იმისა, რომ ჯვრისა და ჯვარცმის ადგილები, ერთი შეხედვით, ორ ცალკე სამლოცველად ჩანს, რეალურად ისინი ქმნიან ერთ, კვადრატული ფორმის სამლოცველოს ერთი თალის ქვეშ, შემკულს მოზაიკით, რომელიც ლამპრის კვამლით არის ჩამუქებული. სამლოცველო დაახლოებით 32 ფუტის სიგანისაა, შუაში მდგომი მარმარილოს სვეტით, რომელიც ჯვრის ფორმის თაღოვან სტრუქ-

¹ ორივე შემთხვევაში, ფრანგულ დედანსა და ქართულ თარგმანში, ჰოლანდიელი ავტორი დასახელებული არ არის და ის, თხზულებასთან ერთად, მხოლოდ სქოლიოში იძენება.

² ეს მონაკვეთი მ. თამარაშვილთან არ გვხვდება.

³ შდრ. „ჯვრის (გოლგოთის მთა) საკურთხეველთან ლათინ მოძღვრებს სრულიად აკრძალული აქვთ წმინდა დღესასწაულების აღნიშვნა, რადგანაც ბერძნული რიტუალის მიმდევარი ამ საკურთხეველის მფლობელი ქართველი ბერები ამის უფლებას არ აძლევენ. ბერძნები ფიქრობენ, რომ მათი ეკლესიები შეიბილნება, თუკი ლათინები იქ აღასრულებენ საიდუმლოებებს“ [თამარაშვილი, 1995: 360]. მომდევნო წინადადება, რომელიც ცხადყოფს ქართველი ბერების შემწყნარებლობას ყველა ეროვნების პილიგრიმების მიმართ, გამოტოვებულია მ. თამარაშვილის მიერ.

⁴ იგულისხმება ქრისტეს ჯვრის ღიობი.

ტურას იჭერს. ფრიგიული ოსტატობით ოქროთი ნაქარგი აბრეშუმის ფარდა ჯვარცმული ქრისტეს, მისი დედისა და ჯვართან მდგომი იოანე მოციქულის გამოსახულებებით, თალის თავიდან იატაკამდეა დაკიდებული და ფარავს სვეტებს შორის არსებულ სივრცეს. ეს ფარდა გადაჭიმულია კედლიდან აღმოსავლეთისაკენ სამლოცველოს შუა მარმარილოს სვეტამდე, რითაც ყოფს სივრცეს ორ სამლოცველოდ. ჩრდილოეთისკენ მიმართული ნაწილი ქართველებს ეკუთვნით, სამხრეთისკენ მიმართული კი ფრანცისკელებს [Cotovico, 1619: 169].¹

თუ [უფლის საფლავიდან] მარჯვნივ, ჩრდილოეთისაკენ ნავალთ, ქართველთა სენაკებსა და სამლოცველოებს შეეხვდებით [Cotovico, 1619: 184].²

რადგანაც ქართველებსა და ბერძნებს ერთი და იგივე რიტუალი აქვთ, ისინი გოლგოთას ეკლესიის ქორედში ასრულებენ თავიანთ საიდუმლოებებს და გარდა აღნიშნული ოთახებისა, ფლობენ კიდევ ერთ სამლოცველოს გოლგოთას მთის გვერდით და ამჟამად თავად მთის ნახევარსაც (როგორც ადრე აღვნიშნეთ), რაც, სომხების განდევნისა და მათი მეფის დამარცხების შემდეგ, მათ მიიღეს სპარსთა მეფისგან,³ რამაც წარმოშვა ღრმა და ხანგრძლივი სიძულვილი ორ ერს შორის [Cotovico, 1619:185].⁴

ქართველები აზიაში მკვიდრობენ, შავი ზღვის სანაპიროზე. ისინი განკარგავენ იმ მიწებს, რომლებიც ადრე ცნობილი იყო როგორც იბერია და ალბანეთი, ახლა კი მოიხსენიება ერთი სახელით – საქართველო (Georgia). სამხრეთით მას ესაზღვრება დიდი სომხეთი, ჩრდილოეთით – კავკასიის მთები, აღმოსავლეთით – ჰირკანიის ანუ კასპიის ზღვა და დასავლეთით – შავი ზღვა. მთელი რეგიონი გაუვალი მთებითაა გარშემორტყმული. მაღალი, თოვლით დაფარული კავკასიის მთები და ციცაბო ხეობები კლდოვანი რელიეფითაა დაკავშირებული, რაც ნებისმიერი დამპყრობლისთვის რთულად დასაძლევ ბუნებრივ დაბრკოლებას ქმნის. ხალხი ძლიერი, მტკიცე და მეომარია (bellicos), მაგრამ ასევე ჰუმანური, მეგობრული, კეთილი და თავაზიანი. ისინი განსაკუთრებულად ეთაყვანებიან წმიდა მოწამე გიორგის (რომლისგანაც მომდინარეობს მათი სახელი), მიაგებენ მას ყველა სხვა წმინდანზე მეტ პატივს და თავიანთ მფარველად თვლი-

¹ ეს ადგილი ასეა შემოკლებული: „ჯვრისა და ჯვარცმის ადგილები, მართალია, ორ სამლოცველოდაა დაყოფილი, მაგრამ ერთი შეხედვით აღიქმება, როგორც „opus mussivum“ თალის ქვეშ... ჩრდილოეთისაკენ მიქცეული მხარე ქართველებს ეკუთვნის, ხოლო სამხრეთისაკენ – ფრანცისკელ ბერებს“ [თამარაშვილი, 1995:360].

² შდრ. „თუ სიარულს მარჯვნივ (წმინდა საფლავიდან) ჩრდილოეთისაკენ გავაგრძელებთ, მივაღვებით ქართველთა ოთახებსა და სამლოცველოებს“ [თამარაშვილი, 1995:360].

³ სპარსეთის მეფეში ეგვიპტის სულთანი უნდა იგულისხმებოდეს.

⁴ ეს წინადადებაც არ არის მ. თამარაშვილთან.

ან; მისი სახე ყოველთვის არის გამოსახული მათ სამხედრო დროშებზე (*cuius imaginem in signis militaribus depictam perpetuo deferunt*).¹ ისინი სპარსელებისკენ არიან მიდრეკილნი და თურქების დაუძინებელი მტრები არიან. როდესაც თურქებსა და სპარსელებს შორის ომი იწყება, სპარსეთის მეფის მოკავშირე ქართველები თავს ესხმიან თურქეთის იმპერიას და აოხრებენ მის პროვინციებს. ამის გამო, ისინი დღემდე თავისუფალნი არიან მაჰმადიანთა უღლისაგან. მიუხედავად იმისა, რომ თურქებმა ბევრჯერ ილაშქრეს მათზე, ვერასდროს ვერ დაიმორჩილეს ან დაიპყრეს. პირიქით, მათ გმირულად დაიცვეს თავიანთი საზღვრები და უდრეკი სიმამაცით მოიგერიეს თურქთა საომარი მცდელობები. დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ გარშემორტყმულნი არიან ბარბაროსებით და იმყოფებიან მსოფლიოს ოთხ უძლიერეს იმპერიას – თურქებს, სპარსელებს, თათრებსა და მოსკოველებს – შორის, რომლებსაც მათი მიწები სწადიათ, ისინი რჩებიან თავიანთი ქრისტიანი მმართველების ერთგულები და ერთადერთი აღმოსავლეთის ქრისტიანთა შორის სარგებლობენ თავისუფლებით, რომელსაც მტკიცედ იცავდნენ მრავალი წლის განმავლობაში, როგორც მათი გაუტყეხელი სიმამაცის უბადლო მონმობას. შედეგად, მეზობელ თურქებს უფრო აქვთ მათი შიში, ვიდრე თავად ქართველები უფროსიან მათ. საგანგებო განკარგულებითა და პრივილეგიით, რომელიც მიანიჭა კაიროს სულთანმა და შემდეგ დაადასტურა იმპერიის მემკვიდრე თურქეთმა, აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანების მსგავსად, მათ უფლება აქვთ ყოველწლიურად ეწვიონ იერუსალიმს ქრისტეს საფლავის თაყვანისსაცემად. თუმცა, ქრისტიანთა შორის ისინი ერთადერთი დადიან მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმებითა და სამხედრო დროშებით, ქალაქში შესვლისას არ იხდიან ბაჟს და დროშებგაშლილნი შედიან წმინდა ადგილებში. მრავალი წლის განმავლობაში სპარსეთის მეფეები ქორწინდებოდნენ ქართველი მთავრების ქალიშვილებზე, რამაც გზა გაუხსნა ორ ერს შორის მტკიცე და სტაბილურ მეგობრობას, საფუძველი ჩაუყარა ორმხრივ კავშირებს და განამტკიცა მათ შორის მშვიდობა. მამაკაცები იზრდიან თმასა და წვერს და სხვადასხვა ფერის ქუდეებს ატარებენ. სასულიერო პირები მრგვალ კოჭიკურს ატარებენ, საერო პირები კი კვადრატულს. მათ ჰყავთ წმინდა ბასილის წესის მრავალი ეპისკოპოსი და ბერი. მიუხედავად იმისა, რომ მათ ბერძნებით არ სძულთ რომის ეკლესიის სწავლება, რწმენის, საეკლესიო ცერემონიებისა და რიტუალების საკითხებში ბერძნების წეს-ჩვეულებებს მისდევენ. ისინი იყენებენ ბერძნულ ენას წმინდა საიდუმლოებებსა და ზიარებაში, ხოლო თავიანთ საქმეებში იყენებენ ქალდეურ,² სპარსულ და არაბულ ენებს [Cotovico, 1619:200-201].³

¹ ეს მონაკვეთი გამოტოვებულია მ. თამარაშვილის წიგნში.

² აქ სირიული ენა უნდა იგულისხმებოდეს.

³ ამ მონაკვეთიდან მ. თამარაშვილს გამოტოვებული აქვს სპარსეთისა და საქართველოს მმართველებს შორის კავშირები, ქართველების გარეგნული აღწერილობა და მათი ენები. შდრ. თამარაშვილი, 1995, გვ. 360-361.

მივალწიეთ წმინდა ჯვრის მონასტერს, სადაც წმინდა ბასილის წესის ქართველი ბერები ცხოვრობენ... წინამძღვარმა სიხარულით მიგვიღო და შეგვიძლვა მონასტერში, გვიჩვენა ბერების კელიები და ტაძარი, რომელიც მონასტრის კედლებშია მოქცეული. ის დაახლოებით სამი მილითაა დაშორებული როგორც იერუსალიმიდან, ისე იოანე ნათლისმცემლის დაბადების ადგილიდან. მონასტერი ციხესიმაგრეს წააგავს ძალიან მაღალი კედლებითა და ორმაგი რკინის კარიბჭით, რაც მას უსაფრთხოდ და საიმედოდ იცავს არაბებისა და მძარცველების თავდასხმებისა და რბევისგან, რითიც ჰგავს ელია წინასწარმეტყველის მონასტერს, რომელიც ადრე ვახსენეთ. ისინი ამბობენ, რომ ტაძარი, მონასტერთან ერთად, ელენემ ააგო წმინდა ჯვრის პატივსაცემად: მთავარი საკურთხეველის ქვეშ აჩვენებენ ადგილს, სადაც მოჭრეს ზეთისხილის ხე, რომელიც, როგორც ამბობენ, უფლის ჯვრად გამოიყენეს. ზოგიერთი, თუმცა ძველების მონუმობის გარეშე, თვლის, რომ ის დამზადებულია პალმის, კედრის, კვიპაროსისა და ზეთისხილის ხისგან; აღმოსავლეთის ქრისტიანებს კი მტკიცედ სწამთ, რომ ეს ასეა [Cotovico, 1619:252].¹

მიუხედავად იმისა, რომ იოჰან ვან კოტვეიკის მიერ აღწერილი ქართულ-თურქული ომების მიმდინარეობა განხვავდება ისტორიული წინამდვილისაგან (ამ დროისათვის ოსმალეთს დაპყრობილი ჰქონდა სამცხე-საათაბაგო), ის მაინც წარმოდგენას გვაძლევს იმ შეხედულებებზე, რომელიც XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე გააჩნდათ ევროპელებს საქართველოსა და ქართველების შესახებ. ეს მაღალი ავტორიტეტი, რომელიც ასე გამოარჩევდა ჩვენს წინაპრებს ყველა სხვა აღმოსავლელი ქრისტიანისაგან, იმდროინდელ ქართველებს მუსლიმურ გარემოცვაში მძიმე და უკომპრომისო ბრძოლების შედეგად ჰქონდათ მოპოვებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარნაველი, ს.** (1953). ქართული დროშები, თბილისი: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“
- გამსახურდია ს., შოშიაშვილი ნ., ხიდურელი ზ.** (1990). საქართველოს სახელმწიფო დროშები და გერბები, თბილისი: „მერანი“
- თამარაშვილი მ.** (1995). ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, რედ. ზ. ალექსიძე და ჯ. ოდიშელი, თბილისი: „კანდელი“
- თვარაძე ა.** (2004). საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბილისი: „სეზანი“
- კლდიაშვილი დ.** (2003). დროშა სვიანად მოხმარებული, თბილისი
- კოტოვიჩი** (2023). ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 5, თბილისი
- მუსხელიშვილი დ.** (1997). საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის შესახებ, „პარლამენტის უწყებანი“, 27-28

¹ ჯვრის მონასტრის აღწერაც არ გვხვდება მ. თამარაშვილთან.

- ჯავახიშვილი ი.** (1984). ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, თბილისი, ტ. VII, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“
- ჯაფელიძე ნ.** (2012). ქართველთა საერო დროშის გამო, მშენებლების ძიებაში: რევაზ სირაძე – 75, რედ. სერგო ვარდოსანიძე, თბილისი: „უნივერსალი“
- Boogert, M., Steenbrink K. (2017). *Joannes Cotovicus. Christian-Muslim Relations: A Bibliographical History, Vol. 9, Western and Southern Europe (1600-1700)*, Leiden: “Brill”
- Cotovico, Ioanne. (1619). *Itinerarium Hierosolymitanum et Syriacum*, Antwerpen: “Hieronymous Verdussen”
- Excerpta Cypria: Materials for a History of Cyprus. (1908). Trans. C. D. Cobham. Cambridge: “Cambridge University Press”
- Feller, F.-X., Christyn, J. B. (1786). *Dictionnaire historique, ou Histoire abrégée de tous les hommes nés dans les XVII Provinces Beligiques, qui se sont fait un nom par le génie, les talens, les vertus, les erreurs etc. depuis la naissance de J. C. jusqu’à nos jours*, T. 1, Paris: “Chez Gaume Freres”
- Noonan, F. Th. (2007). *The Road to Jerusalem: Pilgrimage and Travel in the Age of Discovery*, Philadelphia: “University of Pennsylvania Press”
- Röhrich, R. (1890). *Bibliotheca geographica Palestinae. Chronologisches Verzeichniss der auf die Geographie des Heiligen Landes bezüglichen Literatur von 333 bis 1878: und Versuch einer Cartographie*, Berlin: “H. Reuthers Verlagsbuchhandlung”
- Schur, N. (1980). *Jerusalem in Pilgrims’ and Travellers’ Accounts. A Thematic Bibliography of Western Christian Itineraries, 1300-1913*, Jerusalem: “Ariel Publishing House”
- Tamarati, M. (1910). *L’église géorgienne des origines jusqu’a nos jours*, Rome: “Imprimerie de la Société Typographico-Editrice Romaine”
- Tobler, T. (1867). *Bibliographia geographica Palestinae. Zunächst kritische Uebersicht gedruckter und ungedruckter Beschreibungen der Reisen ins Heilige Land*, Leipzig: “Verlag von S. Hirzel”
- Van der Aa, A. J. (1858). *Biographisch woordenboek der Nederlanden*, Vol. 3, Haarlem: “J.J. van Brederode”

Ioannes Cotovicus, a traveler whose observations about the Georgians have been widely discussed in Georgian historiography, is often mistakenly identified as Polish. However, he was actually Dutch, with his true name being Johan van Cootwijck. Born in Utrecht in the 16th century, Cootwijck spent his life in this city, where he eventually passed away in 1629. In 1598-99, Cootwijck embarked on a journey to the East and recorded detailed descriptions of the places he visited. His travels took him across Europe to Italy, from where he sailed from Venice to Crete and Cyprus via the Adriatic and Mediterranean Seas, eventually landing in Jaffa. He explored Palestine and Syria, spending three months in Aleppo and visiting Antioch as well. Upon returning to Europe in 1619, he published his travelogue, *Itinerarium Hierosolymitanum et Syriacum*, in Latin in Antwerp. The book was translated into Dutch and printed in 1620.

Johan van Cootwijck was a well-educated and keenly observant writer. His work reflects his deep knowledge of Greek and Latin literature and history. His accounts are enriched with references to medieval authors and classical sources such as Homer, Horace, Pliny, Dionysius of Halicarnassus, Polybius, Ptolemy, Pythagoras, Strabo, and others. According to the scholar Titus Tobler, Cootwijck’s writing is clear and reliable, offering numerous new and valuable insights. His book is a testament to the meticulous work of a perceptive, learned, and diligent man. Cootwijck’s descriptions of the countri-

es he visited are noted for their accuracy, and he is often praised for his keen eye and comprehensive observations. He was the first to document the inscriptions on the walls and tombstones of Jerusalem, many of which have since been lost. His book features over 50 engravings, including maps, drawings, and illustrations of Eastern cities and holy sites.

In the sixth chapter of the second book of his work, Cootwijk provides a detailed account of the Christian communities in the East, including the Maronites, Greeks, Syrians, Jacobites, Nestorians, Armenians, Copts, Ethiopians, and, notably, the Georgians. He also mentions the Georgians in his descriptions of the Holy Sepulchre and the Monastery of the Cross. Until recently, we only had fragments of his work from Michel Tamarati's book *L'église géorgienne des origines jusqu'à nos jours*, published in French in 1910, which includes excerpts from Cootwijk's writings. These Latin excerpts were translated into Georgian in 1995 when Tamarati's book was republished.

Unfortunately, the excerpts in Tamarati's book, and consequently the Georgian translation, are incomplete and disjointed, with several important sections missing. Omitted passages include the description of Georgia's historical geography and location, a highly favorable characterization of the Georgian people, accounts of the cult of St. George and military banners, the matrimonial ties between the rulers of Persia and Georgia, Georgian headdresses and hairstyles, the languages they spoke, and Cootwijk's visit to the Monastery of the Cross. To address these omissions and clarify the misunderstandings surrounding the Dutch traveler, we now present a full translation of the original text.